

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას და KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC. LTD. STI-ს (ამჟამად სახელცვლილი, როგორც „KGM ENERJI TICARET LIMITED SIRKETI“) შორის 2011 წლის 27 ოქტომბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

24 ივლისი, 2014 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში “მთავრობა”), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

და მეორე მხრივ, KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI, წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ვახტანგ ღონღაძის მიერ და შპს „ქეიჯი ენერჯი“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 404897563, წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ ღონღაძის (ორივე ერთად შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“) მიერ;

ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან გაუქმდეს მთავრობას და კომპანიას შორის 2011 წლის 27 ოქტომბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი და შესაბამისად მასში 18.11.11-ში, 19.06.12-ში და 29.01.14-ში შეტანილი ცვლილებები (შემდგომში “მემორანდუმი”) შესაბამისად კომპანიას ჩამოერთვას პროექტის განხორციელების უფლება;
2. წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში მთავრობა უზრუნველყოფს გარანტიის გამცემი ბანკისათვის წერილობითი თანხმობის წარდგენას, კომპანიის მიერ მემორანდუმით ნაკისრი ველდებულებების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტიის (7 650 000.00 აშშ დოლარი) გაუქმების თაობაზე;
3. კომპანია მთავრობას გადასცემს მის მიერ აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ამსახველ დოკუმენტაციას სრულად. ამასთან, კომპანია იღებს ვალდებულებას წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 90 დღის ვადაში შესაბამისი მიწინ ნაკვეთები, რომლებიც კომპანიას გადაეცა საქართველოს მთავრობის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ პროექტის განხორციელების მიზნით უსასყიდლოდ დაუბრუნოს თავდაპირველ მესაკუთრეს;
4. კომპანია ადასტურებს, რომ მას არ აქვს/ექნება რაიმე სახის მოთხოვნის უფლება (გარდა წინამდებარე შეთანხმების მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებისა) მთავრობის მიმართ მიუხედავად იმისა, თუ რა არის გათვალისწინებული მემორანდუმით ან/და მისი დანართებით;

5. წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათთან დაკავშირებული დავები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ;
6. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3-3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ-ინგლისურ ენებზე და ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. ამასთან ინტერპრეტაციის დროს, შეუთანხმებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ეგზემპლარს;
7. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI

ვახტანგ ღონღაძე

შპს „ქეიჯი ენერჯი“

ვახტანგ ღონღაძე

A G R E E M E N T

On Termination of the Memorandum of understanding signed between the Government of Georgia and KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI (presently changed name: KGM ENERJI TICARET LIMITED SIRKETI) on October 27, 2011.

Tbilisi

24 July, 2014.

Government of Georgia – (hereinafter referred to as: “Government”) represented by the Minister of Energy and Natural Resources of Georgia, Mr Kakha Kaladze;

KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC. LTD. STI - represented by its Authorised Representative Mr Vakhtang Gongadze and LLC “KG Energy” – identification code: 404897563, represented by its Director Mr Vakhtang Gongadze (hereinafter referred together as: “Company”);

Acting in accordance with the Georgian legislation sign the present Agreement on following:

1. From date of execution of the present Agreement the Memorandum of Understanding signed between the the Government of Georgia and KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC. LTD. STI on on October 27, 2011 and accordingly its Amendments Signed on 18.11.11, 19.06.12 and 29.01.14 (hereinafter referred to as: “Memorandum”), shall be terminated and accordingly the company loses the right to implement the project;
2. Within the 30 days after the signing the present Agreement the Government will ensure to present the relevant written consent to the bank about the cancelation of the bank guarantee presented by the Company for the purpose of securing its obligations under the Memorandum, in amount of 7 650 000.00 USD;
3. The Company shall grant the Government with full documentation about the technical, economical and/or feasibility studies conducted by the Company within the framework of the Memorandum. Herewith, the Company within the 90 days from date of execution of the present Agreement is obliged without any compensation to return the initial owner the respective land plots, which were transferred to the Company by the Government and/or local self-governance bodies for the purpose of implementation of the Project;
4. The Company confirms that it does not have/will not have any right to claim (Apart from the right defined in article 2 of this Agreement) towards the Government, regardless of what is defined by the Memorandum and/or its Annexes.
5. The present Agreement is regulated by the Georgian jurisdiction and any dispute connected to it shall be resolved according to Georgian Legislation by the Common Courts of Georgia;

6. The present Agreement is made in to 3-3 equally binding copies in Georgian and English languages and enters into force following its execution. In case of any inconsistency between two texts of the Memorandum, the Georgian shall prevail;

7. Signatures:

Government of Georgia



Kakha Kaladze

KGM İLETİSİM VE HİZM. LOJİSTİK İNS. VE TURİZM TİC. LTD. STİ



Vakhtang Gongadze

LLC "KG Energy"



Vakhtang Gongadze